პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

14 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1985 წ.
№ 218 (9059) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

დიდოსტატის ხსოვნას ეძღვნება

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა გამოჩენილი საბჭოთა დიდოსტატის ალექსანდრე კოტოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

საღამო გახსნა და მონაწილეებს მიესალმა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ლუდვიგ ხარბედია. შეჯიბრების რეგლამენტი დამსწრეთ გააცნო მთავარმა მსაჯმა, საერთაშორისო არბიტრმა იაკობ როხლინმა (მოსკოვი), რომელშიც აღინიშნა, რომ თამაში ყოველდღე 16 საათზე დაიწყება.

წილისყრის შემდეგ მონაწილენი სატურნირო ცხრილში ასე განაწილდნენ: 1. ოსტატი ვალერი ნევეროვი (ხარკოვი), 2. დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე (თბილისი), 3. საერთაშორისო ოსტატი ალოიზ ლანჩი (ჩეხოსლოვაკია), 4. საერთაშორისო ოსტატი თომას პეტცი (გდრ), 5. საერთაშორისო ოსტატი კარსტენ ხოი (დანია), 6. დიდოსტატი ირო რანტანენი (ფინეთი), 7. დიდოსტატი თამაზ გიორგაძე (თბილისი), 8. საერთაშორისო ოსტატი მილან დრაჟკო (იუგოსლავია), 9. ოსტატი იური შაბანოვი (ლენინგრადი), 10. საერთაშორისო ოსტატი ლეონიდ იუდასინი (ლენინგრადი), 11. საერთაშორისო ოსტატი გაბორ კალაი (უნგრეთი), 12. საერთაშორისო ოსტატი მიხეილ გურევიჩი (ხარკოვი).

შეჯიბრება 28 ნოემბრამდე გასტანს.

გუშინ I ტურში მხოლოდ ოთხი შეხვედრა გაიმართა. იუდასინმა დაამარცხა ლანჩი. გურგენიძე — კალაისა და ნევეროვ—გურევიჩის პარტიები ყაიმით დამთავრდა. გადაიდო ხოი—დრაჟკოს პარტია. პეტცის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი პარტია გიორგაძესთან.



თამაშობენ ხარკოველი ოსტატები ვალერი ნევეროვი (მარცხნივ) და მიხეილ გურევიჩი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

ბიბლიოთეკა

საფეხბურთო ჩემპიონატის ფინიშის სიძნელეები

მხარში ამოვუდგეთ, ვუქომაგოთ ჩვენს გუნდებს!

სსრ კავშირის 1985 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში დასასრულს მიუახლოვდა. გათამაშების მონაწილეებს სულ რაღაც 2-3 მატჩი აქვთ ჩასატარებელი, ვორონეჟის „ფაკელსა" და დონის როსტოვის არმიელთა გუნდს კი საერთოდ თითო შეხვედრაღა დარჩათ.

ახლა მთელი ჩვენი საფეხბურთო საზოგადოებრიობა, გულშემატკივრები დიდი ინტერესით და, რა დასამალია, ერთგვარი მღელვარებითაც ველით ფინიშს, მხარს ვუჭერთ იმ გუნდებს, რომელთა ბედიღბალი ყველაზე მეტად გვაღელვებს.

გათამაშების მონაწილე კოლექტივებს, როგორც ყოველთვის, განსხვავებული ამოცანები აქვთ დასახული. უმაღლესი ლიგის ჩემპიონატის ცხრილი ნათლად მიგვანიშნებს: ოქროს მედლებს წლეულს კიევის დინამოელები მოიპოვებენ. ეს ეჭვს არ იწვევს. მართალია, კიევის „დინამოს" ძნელი მატჩები მოელის ლენინგრადში, თბილისში და ქუთაისში, მაგრამ საკმარისია ამ სამ შეხვედრაში ჩემპიონობის უმთავრესმა პრეტენდენტმა მხოლოდ ერთი, ერთადერთი ქულა მოიპოვოს და პირველ ადგილს ვეღარავინ შეეცილება. ძნელი წარმოსადგენია, რომ კიეველებმა 6 შესაძლებლიდან ერთი ქულა მაინც არ აიღონ.

მეორე და მესამე საპრიზო ადგილებისთვის სამი გუნდი იბრძვის: მინსკის „დინამო", მოსკოვის „სპარტაკი" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". თუ რომელ გუნდს ქულათა რა მარაგი აქვს სადღეისოდ, ეს კარგად ჩანს სატურნირო ცხრილში, დავსძენთ მხოლოდ იმას, რომ მინსკის დინამოელები სტუმრად თამაშობენ დონეცკში, მოსკოვის „სპარტაკთან" და ლენინგრადში. ამიტომ მათი მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე, ვთქვათ, მოსკოვის „სპარტაკისა", რომელიც შინ უნდა შეხვდეს ხარკოვის „მეტალისტს", მერე — მინსკის „დინამოს" და, ბოლოს ვილნიუსის „ჟალგირისს".

ძნელი თამაშები დარჩა დნეპროპეტროვსკის „დნეპრს". მან შემდეგ ტურში ქუთაისში უნდა ითამაშოს „ტორპედოსთან", მერე კი საკუთარ მინდორზე შეხვდება ალმა-ათის „ქაირატს" და მოსკოვის „ტორპედოს".

ყველაფერი ეს ხდება ლიდერთა შორის, ცხრილის ზემო ნახევარში და ამ ოთხი გუნდის დავაში ვერავინ ჩაერევა. მეხუთე ადგილზე მყოფი მოსკოვის „ტორპედოც" კი, ორივე დარჩენილი შეხვედრაც რომ მოიგოს, წინ წასულთ ვერ დაეწევა.

საქართველოს გუნდების გულშემატკივრებს ახლა სულ სხვა საზრუნავი გვაქვს.

გადავხედოთ ცხრილის ქვედა ნახევარში შექმნილ მდგომარეობას. ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან საკავშირო ჩემპიონატის დებულება, რომლის ძალითაც წლეულს ბოლო (მეთვრამეტე და მეჩვიდმეტე) ადგილებზე გასულმა გუნდებმა პირდაპირ, უაპელაციოდ უნდა დატოვონ უმაღლესი ლიგა და საგაისოდ ქვემო ლიგაში გადაინაცვლონ. მეთექვსმეტე და მეთხუთმეტე ადგილებზე გასული გუნდები კი I ლიგის ორ გამარჯვებულთან ერთად სპეციალურ ტურნირში იასპარეზებენ უმაღლესი ლიგის ორი საგზურისთვის. რა დასამალია, დამატებითი ტურნირი ძალზე რთული და სახიფათოა (იგი მთლიანად მოსკოვის ცსკა-ს დახურულ დარბაზში გაიმართება), ამიტომ უმაღლესი ლიგის ის გუნდები, რომლებიც სახიფათო ზონაში არიან, ცდილობენ მხსნელი, მეთოთხმეტე ადგილი დაიკავონ და ამით აიცილონ თავიდან მოსალოდნელი უსიამოვნებანი.

უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხი უშუალოდ ეხება, არც მეტი, არც ნაკლები, 11 გუნდს. ეს გუნდებია: ლენინგრადის „ზენიტი", ალმა-ათის „ქაირათი", ერევნის „არარატი", დონეცკის „შახტიორი", მოსკოვის „დინამო", თბილისის „დინამო", ბაქოს „ნეფთჩი", ოდესის „ჩერნომორეცი", ვორონეჟის „ფაკელი", ქუთაისის „ტორპედო" და როსტოვის არმიელთა გუნდი. მოსვენებული ცხოვრება არც ერთ

იხ. მე-3 გვ.

გათამაშების ცხრილი, უმაღლესი ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი, მდგომარეობა 14 ნოემბრისთვის

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1.	„დინამო" (კიევი)	31	20	7	4	61-21	47	(—15)
2.	„დინამო" (მინსკი)	31	16	9	6	39-22	41	(—21)
3.	„სპარტაკი" (მოსკოვი)	31	15	10	6	61-26	40	(—22)
4.	„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	31	15	10	6	61-31	40	(—22)
5.	„ტორპედო" (მოსკოვი)	32	13	9	10	37-34	35	(—29)
6.	„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	32	12	11	9	41-42	34	(—30)
7.	„მეტალისტი" (ხარკოვი)	31	12	7	12	36-44	31	(—31)
8.	„ზენიტი" (ლენინგრადი)	31	12	6	13	41-35	30	(—32)
9.	„ქაირათი" (ალმა-ათა)	32	10	13	9	39-42	30	(—34)
10.	„არარატი" (ერევანი)	32	10	10	12	38-42	30	(—34)
11.	„შახტიორი" (დონეცკი)	31	9	10	12	40-42	28	(—34)
12.	„დინამო" (მოსკოვი)	32	11	5	16	36-49	27	(—37)
13.	„დინამო" (თბილისი)	31	9	9	13	26-34	27	(—35)
14.	„ნეფთჩი" (ბაქო)	32	9	9	14	30-40	27	(—37)
15.	„ჩერნომორეცი" (ოდესა)	31	10	6	15	38-59	26	(—36)
16.	„ფაკელი" (ვორონეჟი)	33	8	9	16	22-44	25	(—41)
17.	„ტორპედო" (ქუთაისი)	31	8	9	14	30-46	25	(—37)
18.	ასკ (როსტოვი)	33	7	7	19	35-58	21	(—45)

19-26 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლე კიდევ ერთ საინტერესო ტურნირს უმასპინძლებს. აქ გაიმართება I ლიგის ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ტური. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოსკოვის ოლქის მოპი, ლენინგრადის „ეკრანი" კაუნასის „დინამო", ნოვოსიბირსკის „კიროვეცი", დონეცკის „სპარტაკი", ბაქოს „ნეფთჩი", ფრუნზეს „ბურევესტნიკი" და თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდები. აღსანიშნავია, რომ თბილისის სპორტის სასახლეში ფრენბურთელ ქალთა ასეთი რანგის ტურნირი პირველად ტარდება. შეხვედრები დაიწყება 14.30 საათზე.



საკავშირო ჩემპიონატი წყალბურთში

ჩემპიონი მეორედ დამარცხდა

მოსკოვი. უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი მოსკოვის სამხედრო მეზღვაურთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობს. ცსკ ვმფ-მ, რომელიც ვერცხლის მედლებისთვის იბრძვის, მესამე ტურში საბჭოთა კავშირის ახალი ჩემპიონი — მოსკოვის „დინამო" დაამარცხა — 8:7. თვით ანგარიში ცხადყოფს, რომ ბრძოლა ამ მატჩში უაღრესად მძაფრი და შეუპოვარი იყო. არმიელებმა ყველაფერი იღონეს წარმატების მისაღწევად და მიაღწიეს კიდეც მიზანს, მაგრამ ამაში მათ თავად დინამოელებიც დაეხმარნენ, რომლებიც მას შემდეგ, რაც ჩემპიონები გახდნენ, ჩვეული აღმავლობით აღარ თამაშობენ.

საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან ალმა-ათის „დინამოც" და მოსკოვის „უნივერსიტეტიც". მათთვის ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ალბათ ამიტომაც პრინციპულმა მატჩმა უძლიერესი ვერ გამოავლინა — 6:6. მეტოქეებმა ქულები გაიყვეს.

მიზანს თბილისის დინამოელებმაც მიაღწიეს. ისინი უძლიერესთა ფინალურ ტურნირში მოხვდნენ. ახლა, როცა მთავარი ამოცანა დაძლეული აღმოჩნდა, დინამოელთა თამაშმა სიმწვავე დაჰკარგა. ამჯერად ჩვენი გუნდი დამარცხდა კასპიის წითელდროშოვან ფლოტილიის გუნდთან.

გათამაშების ცხრილი

(I-VI ადგილები)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (მ.)	25	21	2	2	275-189	44
ცსკ ვმფ	25	17	2	6	242-195	36
„დინ." (ა.)	25	14	6	5	228-184	34
„უნივ." (მ.)	25	14	5	6	223-178	33
კწფ (ბაქო)	25	12	3	10	249-249	27
„დინ." (თბ.)	25	8	7	10	191-197	23

ხარკოვში გრძელდება VII-XII ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების ფინალური ტურნირი. ადგილობრივ „ლოკომოტივს" შინ, როგორც ჩანს, კედლებიც ეხმარება. მან უკვე მეორე შეხვედრა მოიგო. თანაც ლვოვის „დინამოს" საკმაოდ ძლიერი კოლექტივი დაამარცხა — 8:7.

ტაშკენტის „მეხნატმა" ლენინგრადის „ბალტიკას" მედგარი წინააღმდეგობა გაუწია. ბალტიისპირელებმა, მართალია, მოიგეს ეს ორთაბრძოლა, მაგრამ მხოლოდ მინიმალური სხვაობით და დიდის გაჭირვებით — 9:8.

მეშვიდე ადგილისთვის სხვებთან შედარებით წარმატებით კიევის დინამოელები და „მოსკვიჩი" იბრძვიან. ამიტომაც მათ ურთიერთშეხვედრაში მწვავე მომენტები სჭარბობდა. ბრძოლამ უძლიერესი ვერ გამოავლინა და მეტოქეებიც ერთმანეთს „მშვიდობიანად" დაშორდნენ — 8:8.

გათამაშების ცხრილი

(VII-XII ადგილები)

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ." (კ.)	24	11	2	11	172-176	24
„მოსკვიჩი"	24	9	5	10	170-177	23
„დინ." (ლვ.)	24	8	2	14	192-201	18
„ბალ." (ლ.)	24	7	4	13	184-192	18
„ლოკ." (ხ.)	24	7	0	17	170-224	14
„მეხნ." (ტ.)	24	0	0	24	168-312	0

GENS UNA SUMUS

ახალი შეჯიბრების სტარტი

15 ნოემბერს შვეიცარიის ქალაქ ლუცერნში დაიწყება ჭადრაკში მსოფლიოს პირველი გუნდური ჩემპიონატი.

ეს უაღრესად საინტერესო შეჯიბრება ფიდე-მ შემოიღო. იგი არ უპირისპირდება საჭადრაკო ოლიმპიადებს, რომლებიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და საასპარეზოდ მხოლოდ ფიდეს-ს წევრი-სახელმწიფოების გუნდებს იწვევს. გუნდური პირველობა ოთხ წელიწადში ერთხელ წრიული სისტემით გაიმართება. მასში მონაწილეობას მიიღებს მანამდე ჩატარებულ ოლიმპიადაში გამარჯვებული პირველი ხუთი გუნდი, აზიის, აფრიკის, ევროპის, სამხრეთ ამერიკის კონტინენტების ჩემპიონები და მასპინძელთა ნაკრები. თითოეულში 6 ძირითადი და ორი სათადარიგო წევრი იქნება.

პირველ ჩემპიონატში მიწვეული არიან 1984 წლის (სალონიკი) საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული ინგლისის, უნგრეთის, რუმინეთის, გფრ-ის და აშშ-ს გუნდები, კონტინენტის ჩემპიონები — საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, არგენტინის ნაკრებები, აფრიკის (აქ კონტინენტის პირველობა არ გამართულა) შერეული გუნდი და შეჯიბრების მასპინძელი ქვეყნის — შვეიცარიის ნაკრები. მაგრამ ამერიკელებმა უარი თქვეს ტურნირში მონაწილეობაზე. მიზეზად უსახსრობა დაასახელეს. მათ ნაცვლად გამოვა საფრანგეთის გუნდი, რომელმაც სალონიკში მეეჭვე ადგილი დაიკავა.

ცხადია, ლუცერნში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები გაემგზავრნენ. საბჭოთა გუნდს თავკაცობს მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი. გუნდში არიან დიდოსტატები ალექსანდრე ბელიავსკი, რაფაელ ვაგანიანი, ლევ პოლუგაევსკი, ვასილი სმისლოვი, ანდრეი სოკოლოვი, ალექსანდრე ჩერნინი და არტურ იუსუპოვი.

მართალია, არც ერთ გუნდს არ ჰყავს თავის შემადგენლობაში მხოლოდ დიდოსტატები, როგორც საბჭოთა ნაკრებს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისინი მაინც საკმაოდ ძლიერნი არიან. მაგალითად, ინგლისის და უნგრეთის გუნდები. პირველში გამოდიან დიდოსტატები ჯონ ნანი, ენტონი მაილსი, ნაიჯელ შორტი, დონათან სპილმენი, მიურეი ჩანდლერი, დონათან მესტელი, მეორეში — ლაიოშ პორტიში, ზოლტან რიბლი, ანდრაშ ადორიანი, იოზეფ პინტერი, დიულა საქსი, ივან ფარაგო, იშტვან ჩომი... დიდოსტატები არიან აგრეთვე გფრ-ის (რობერტ ჰიუბნერი, ერიკ ლობრონი, ვოლფგანგ უნციკერი, ჰელმუტ პფლეგერი, იოჰიმ ხეხტი), არგენტინის (75 წლის მიგელ ნაიდორფი, მიგელ კინტეროსი, ოსკარ პანო, კარლოს გარსია-პალერმო) და რუმინეთის (ფლორიან გეორგიუ, მიხაი შუბა) გუნდებში.

სპეციალისტების აზრით, მოსალოდნელია მძაფრი სპორტული ბრძოლა, თუმცა გამარჯვების მთავარ თავორიტად ყველა საბჭოთა კავშირის გუნდს ასახელებს.

⊙ სავარჯიშოდ — მხოლოდ ასფალტის ზოლი
⊙ უყურადღებობიდან სიყალბემდე ერთი ნაბიჯია
⊙ როცა მძლეოსნები მხოლოდ შეჯიბრების დროს ახსენდებათ
⊙ მტყორცნელთა „მომთაბარე“ ცხოვრება
⊙ ბაზების უქონლობა — ფარივით მომარჯვებული მიზეზი
⊙ 13 რაიონის გუნდები ჩათვლის გარეშე

სად ივარჯიშონ მძლეოსნებმა?

ამ რამდენიმე დღის წინათ თბილისში დამთავრდა საქართველოს მოსწავლე-მძლეოსანთა საშემოდგომო პირველობა — ტრადიციული ასპარეზობა, რომელიც ყოველი სპორტული სეზონის მიწურულს ეწყობა და ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების უძლიერეს ნორჩ მძლეოსნებს უყრის თავს. ასეთი შეჯიბრებები ჩვენი „სპორტის დედოფლის“ რეზერვის მდგომარეობის სარკეა. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ. ამ წერილშიც არ შემოვიფარგლებით შეჯიბრების მშრალი ანგარიშით, მაგრამ, ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავიდოდეთ, გვინდა ორი საკითხი გამოვყოთ: მონაწილეთა რაოდენობა და შეჯიბრების ჩატარების ადგილი.

მოსწავლე-მძლეოსანთა საშემოდგომო პირველობას ამდენი მონაწილე იშვიათად თუ ჰყოლია. სამაგიეროდ ვერ გავიხსენეთ, როდის ჩატარდა სხვა, ანალოგიური შეჯიბრება ასეთ ცუდ პირობებში (ასპარეზობა ლენინის სახელობის სტადიონზე მოეწყო). პირველი ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად ზოგიერთი „სპეციალისტის“ მტკიცებისა, საქართველოში საკმაოდ არიან მძლეოსნობაში ვარჯიშის მსურველნი, ხოლო სავარჯიშო თუ საასპარეზო ბაზების მდგომარეობა მართლაც პრობლემად იქცა ჩვენს რესპუბლიკაში...

სად ივარჯიშონ ხაშურელმა მძლეოსნებმა? იქნებ იმ ასი მეტრი სიგრძის ასფალტის ზოლზე, რომელზედაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელისა და მასწავლებლის, ვლადიმერ ზანიერის მოწაფეები ვარჯიშობენ? ამ ღვაწლმოსილ პედაგოგს, რომელიც თითქმის 40 წელიწადია მძლეოსნების აღზრდას ემსახურება, ნატვრად აქვს გადაქცეული ჩვეულებრივი სარბენი ბილიკი. ასფალტის ზოლი და პატარა საკუჭნაოს მსგავსი გასახდელი — აი, ხაშურელ მძლეოსანთა მთელი „ბაზა“. კიდევ კარგი, სტადიონზე ბადროს ტყორცნის ნებას მაინც აძლევენ.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ხაშურელი მწვრთნელი ასეთ პირობებშიც ნაყოფიერად შრომობს. ტაშკენტში, მოსწავლეთა XVII სპარტაკიადაზე წარმატებით იასპარეზეს მისმა მოწაფეებმა ლელა და გიორგი გელაშვილებმა. ლელამ ჭაბუკთა I საკავშირო თამაშებზე III ადგილიც კი დაიკავა ბადროს ტყორცნაში. უფრო ადრე საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ ვლადიმერ ზანიერის აღზრდილი მძლეოსნები: ნანა ელბაქიძე, ნანა ნოზაძე, ანდრო ჟანგოციანი, მურად ჩიტიაშვილი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ნათელა ლაბაძე, ძმები ჯემალ და გივი მჭედლიძეები და სხვები. მაგრამ რაიონში, ეტყობა, არავის მოსვლია აზრად, მხარი დაეჭირა მწვრთნელისთვის.

სად უნდა ივარჯიშონ წყალტუბოს მძლეოსნებმა? იმ ერთადერთ ბილიკზე, რომელიც კალათბურთის ორ მოედანს შორის თავისი ხელით გაიყვანა მწვრთნელმა გივი თალაკვაძემ? იქვე მწვრთნელმა პატარა ოთახისმაგვარი რაღაც შეფიცრა და გასახდელად იყენებს. (საშხაპეზე რომ ჩამოვუგდეთ სიტყვა, ისე შემოგვხედა, თითქოს მთვარიდან ჩამოსულები ვყოფილიყავით).

სად უნდა ივარჯიშონ ქუთაისელმა მძლეოსნებმა? ამ დიდი სპორტული ტრადიციების მქონე ქალაქის მძლეოსანთა გასაჭირს ორიოდე სიტყვით ვერც იტყვი. ქუთაისის ცენტრალური სტადიონის სარბენი ბილიკი კარგა ხანია ასფალტით დაფარეს, „დინამოს“ სტადიონზე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს და სამშენებლო მოედნად მძლეოსნური სექტორია გამოყენებული. ერთადერთი დახურული ბაზა, ისედაც პატარა მძლეოსნური მანეჟი შაგრენის ტყავივით ილევა — ბილიკებს ერთი მხრიდან მოჭიდავეებისთვის „ჩამოაჭრეს“ ფართობი და გადაღობეს, მეორე მხრიდან — მოკრივეებისათვის. დარჩენილ ფართობზე იმდენი მძლეოსანი იყრის თავს, ნაყოფიერ მუშაობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. საზაფხულო ბაზა ქუთაისელ მძლეოსნებს, როგორც გითხარით, საერთოდ არა აქვთ.

გადაწყვეტილი იყო, წლეულს ცენტრალური სტადიონის ბილიკებზე ახალი საფარი უნდა დაეგოთ, მაგრამ დაპირება ამჯერადაც დაპირებად დარჩა. არც მძლეოსნობის სპორტსკოლის სტადიონის მშენებლობის დამთავრებას დაადგა საშველი.

აი, ასეთ „პირობებში“ მუშაობენ ქუთაისელი სპეციალისტები. მათი უმრავლესობა ახალგაზრდაა და სწორედ ახალგაზრდული ენთუზიაზმის შედეგია, რომ ქალაქში მძლეოსნობა საბოლოოდ არ ჩამკვდარა. ქუთაისელი მოსწავლეები დროდადრო წარმატებებსაც კი აღწევენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. მაგალითად, ზემოთ ნახსენებ საშემოდგომო პირველობაზე მათ 217 ქულა მოაგროვეს, და 7 ქულით ჩამორჩნენ მეორე ადგილზე გასულ გლდანის „რესპუბლიკურ“ სკოლა-ინტერნატის გუნდს, რომელშიც საქართველოს ნაკრების წევრებიც შედიან.

მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ის ახალგაზრდული შემართებაც გაქრეს და ქუთაისელი მძლეოსნობის სპეციალისტები მხოლოდ მოვალეობის გულგრილ შემსრულებლებად გადაიქცნენ. ასეთები კი, რა დასამალია, ჩვენში ჯერ კიდევ არიან. სწორედ ისინი დგანან იმ მაქინაციებისა და სიყალბის სათავეში, რისი ამოძირკვაც ჯერ კიდევ არ მოხერხდა ჩვენს მძლეოსნობაში. ყველაზე საშიში მაინც სპორტსმენთა ასაკის გადაკეთების პრაქტიკაა, რასაც მიზნის მისაღწევად მიმართავს ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მწვრთნელი და გუნდის ხელმძღვანელი (ამ ფაქტს რედაქცია საგანგებოდ შეისწავლის და მკითხველსაც აუწყებს შედეგებს. **რედ.**). საერთოდ, საქმე იქამდე მივიდა, რომ მეტოქე გუნდების მწვრთნელები გამუდმებით ეჭვის თვალით უყურებენ ერთმანეთს. გახშირდა საეჭვო წარმატებებიც და მოულოდნელი ჩავარდნებიც. მაგალითად ზაფხულის დასაწყისში მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე (სოხუმი) მასპინძლებმა მეორე ადგილი დაიკავეს. საშემოდგომო პირველობაში კი, რომელშიც თითქმის იმავე ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ (დაემატნენ მხოლოდ 1969 წელს დაბადებული მძლეოსნები), ისინი მე-4 ადგილზე აღმოჩნდნენ და მხოლოდ ოთხი ქულით აჯობეს მე-5 ადგილზე გასულ გარდაბნის რაიონის ნაკრებს. მოკლე დროში გუნდის ასე შეცვლა მართლაც საკვირველი და საწყენი ამბავია. სხვათა შორის, წინა შეჯიბრებასთან შედარებით აჭარელმა მძლეოსნებმაც ერთბაშად ორი საფეხურით დაიხიეს უკან.

ახლა კი ისევ ბაზებს დავუბრუნდეთ. არ გვინდა თავი შევაწყინოთ, მაგრამ, ეტყობა, სხვა გამოსავალი არ არის — ამჟამად ეს უპირველესი პრობლემაა ჩვენს მძლეოსნობაში. როცა მოზარდმა იცის, რომ ყინვაში ფარღალალა გასახდელში მოუწევს ტანსაცმლის გამოცვლა, რა ხალისით წავა სავარჯიშოდ ან მშობლები გაუშვებენ კი სტადიონზე? მით უმეტეს, თუ სტადიონის ბილიკებიც მწყობრიდანაა გამოსული.

იკითხავთ, სად ხდება ეს ამბავი. სად და ახალციხეში, რაიონში, რომლის სპორტსმენთა შორის მძლეოსნები აშკარად გამოირჩევიან. ამ შეჯიბრებაზეც მათ I ადგილი დაიკავეს II ქვეჯგუფში და 47 ქულით აჯობეს მეორე ადგილზე გასულ რუსთაველებს. მაგრამ რაიონის ხელმძღვანელებს, ეტყობა, თავიანთი მძლეოსნები მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როდესაც რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე გუნდის გამოყვანაა საჭირო.

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას მტყორცნელებზეც. უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირში გამართულ დიდ, კომპლექსურ შეჯიბრებებზე ჩვენი მძლეოსნებიდან ყველაზე მეტ ქულას სწორედ ისინი გვაძლევენ. მაგრამ დამთავრდება ასპარეზობა, მტყორცნელებს შეაქებენ და ისინიც... კვლავ იწყებენ სავარჯიშო ადგილის ძიებას. მტყორცნელთა „მომთაბარე ცხოვრება“ კარგა ხანია გრძელდება. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მარტო კიევის სპორტული პროფილის ინტერნატს ცალკე სექტორი აქვს ბადროს მტყორცნელებისთვის, ცალკე — უროს და ცალკე — შუბის მტყორცნელებისთვის. თბილისში კი ერთი ასეთი მოედანიც არ არის. არადა, ბადროს მტყორცნელი, მაგალითად, საწვრთნელ მეცადინეობებზე წელიწადში 17-24 ათას ტყორცნას ასრულებს, გამუდმებით კი კაცი საწვრთნელ შეკრებაზე თუნდაც ლესელიძეში, ვერ ივარჯიშებ.

ახლა აღმოჩნდა, რომ მტყორცნელთა სავარჯიშო მოედნის გამონახვა შეიძლებოდა. სპორტსმენებს 1 მაისის რაიონის ხელმძღვანელები დაეხმარნენ. რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის მითითებით მათ დიდუბეში, სანაპიროსთან გამოუყვეს თავისუფალი ადგილი სავარჯიშოდ. მალე იქვე პატარა გასახდელიც ჩაიდგმება და მძლეოსნებიც ამ დროებითი „ბაზით“ მაინც გავლენ იოლას.

დახმარება კი მთელ ჩვენს „სპორტის დედოფალს“ ესაჭიროება. მარტო კრიტიკით ბევრს ვერაფერს მივაღწევთ.

მძლეოსნობის ზოგიერთი მწვრთნელი სპორტში მუშაობას ანებებს თავს და სკოლაში მიდის ფიზკულტურის მასწავლებლად. სკოლის მასწავლებლის მდგომარეობა მყარია, მწვრთნელს კი ხშირად ალმაცერად უყურებენ. ცხადია, ფიზკულტურის კარგი მასწავლებელიც ბევრი გვჭირდება, მაგრამ სასკოლო პროგრამის პირობებში მძლეოსნობის სპეციალისტი თავის ცოდნას ბოლომდე ვერ იყენებს და არც საამისო საშუალება — სათანადო ბაზა აქვს.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ჩვენი მძლეოსნების ჩამორჩენას მხოლოდ და მხოლოდ ბაზების უქონლობით ვხსნიდეთ. ბევრ მწვრთნელს ეს პრობლემა ფარივით აქვს მომარჯვებული. ერთ მაგალითს მოვიყვანთ: სპორტული სეზონის ბოლო შეჯიბრებაზე (მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობაზე) ჩასათვლელი ქულა ვერ მიიღეს აბაშის, ამბროლაურის, ვანის, გეგეჭკორის, გორის რაიონის, გურჯაანის, ყვარლის, ადიგენის, ონის, თერჯოლის, წალკის, ჭიათურისა და ასპინძის გუნდების მძლეოსნებმა, ტყიბულის წარმომადგენლებმა მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვეს, ორჯონიკიძის რაიონისა და სანხერის სპორტსმენებმა კი — 4-4. ეს მაშინ, როცა ჩათვლის მისაღებად საკმარისი იყო სპორტსმენს III თანრიგის ნორმატივი ეჩვენებინა და 12 საუკეთესოს შორის მოხვედრილიყო. ასეთი კატეგორიის მძლეოსნების მომზადება კი ნებისმიერ პირობებში შეიძლება.

ჩვენი მძლეოსნობა ისევ და ისევ თავისი საქმის უსაზღვროდ ერთგული და თავდადებული მწვრთნელებით სულდგმულობს. ბევრი მძლეოსანი აღუზრდია საქართველოს ნაკრებს ცნობილმა მახარაძელმა სპეციალისტმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა გიორგი ერქომაიშვილმა. ბევრი მისი მოწაფე სხვადასხვა საკავშირო ნაკრები გუნდის სახელსაც კი იცავდა. საგულისხმოა, რომ მოსწავლეთა უკანასკნელ სპარტაკიადაზეც და ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზეც საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში მახარაძიდან მხოლოდ მძლეოსნები იყვნენ. ეს მაშინ, როცა იქ მაგალითად, არის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა, მძლეოსანთა ჯგუფების რაოდენობა კი ხუთს არ აღემატება. 1972 წელს კიევში, მოსწავლეთა სპარტაკიადაზე გიორგი ერქომაიშვილის მოწაფეებმა იმდენი ჯილდო მოიპოვეს, რომ მათი მასწავლებელი სპარტაკიადის გმირად აღიარეს. ის ამბავი რომ გავახსენეთ, ბატონმა გიორგიმ გვითხრა: ამ ათი-თხუთმეტი წლის წინ სავარჯიშოდ უკეთესი პირობები მქონდა, ბავშვებისათვის სპორტულ ფორმასაც ხშირად მაძლევდნენ, ჩემი მოწაფეებიანად საწვრთნელ შეკრებაზე უფრო ხშირად მიმახებდნენ და მუშაობაც უფრო მოადვილდებოდაო. საკვირველი და გულდასაწყვეტი ფაქტია.

სათანადო პირობების უქონლობის გამო ჩვენში მძლეოსნობა „ცალმხრივად“ ვითარდება, ყველა ცდილობს სპორტსმენები მძლეოსნობის „იოლ“ სახეობებში მოამზადოს, სადაც მას არც დიდი მოედანი სჭირდება და არც რთული ტექნიკური აღჭურვილობა, მაგალითად, რბენაში. მოსწავლეთა საშემოდგომო პირველობაზე 100-მეტრიან დისტანციაზე რბენაში 47 ქალიშვილი და 62 ჭაბუკი ჩაება, 200-მეტრიანზე კი — 57 და 47. გარდა ამისა, 42 გოგონა და 47 ჭაბუკი გამოვიდა 800-მეტრიანი დისტანციის სტარტზე და ა. შ. სამაგიეროდ 400 მეტრზე თარჯრბენში 3 გოგონა მონაწილეობდა, ხოლო შუბისა და ბადროს ტყორცნაში — 6 და 7. მხოლოდ სამმა ჭაბუკმა სცადა ძალა უროს ტყორცნაში, 2000 მეტრზე წინაღობებით რბენაში შეჯიბრება კი 5 სპორტსმენის მონაწილეობით ჩატარდა.

მძლეოსნობაში კი ორმოცამდე სახეობა შედის და თუ სპორტსმენები მხოლოდ ცალკეულ დისციპლინებში ვამზადეთ, საერთო წარმატებას ვერასოდეს მივაღწევთ.

გიორგი ჩოჩიშვილი.

SOS

დაგვიბრუნეთ მოედანი!

„ძვირფასო რედაქცია, თხოვნით მოგმართავთ თერჯოლის რაიონის მეტლახის ქარხნის ახალგაზრდები.

ერთი ფეხბურთის მოედანი გვქონდა, საშუალება იყო ყოველ საღამოს ხან ქუჩა შეჯიბრებოდა ქუჩას, ხან სოფელი — სოფელს. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ბედნიერება. 1983 წელს მოედანზე მშენებლობა წამოიწყეს. ერთ თვეს იმუშავეს, ჩაყარეს საძირკველი და... მას შემდეგ აქ არავინ გამოჩენილა.

მივმართეთ სოფლისა და რაიონის თავკაცებს, მაგრამ ჩვენი გასაჭირი გულთან არავის მიუტანია ახლოს.

იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ?“.

წელს პირველად

მესამე წელია ტარდება საკავშირო პირველობა ძიუდოში ყრუთა შორის. წლეულს ამ შეჯიბრებაში პირველად მიიღეს მონაწილეობა ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა. ოქროს მედალი მოიპოვა ვლადიმერ პლიევმა (78 კგ), ვერცხლისა — რომან ფოლადაშვილმა (86), ბრინჯაოსი — ვალერი კარიბოვმა (65), მიხეილ ქვლივიძემ (71), იური გოგუაძემ (95), ნიკოლოზ ზაპოროჟეცმა (+95) და რომან ფოლადაშვილმა (აბსოლუტური). გუნდი მოამზადეს შოთა სანაძემ და ავთანდილ დიღმელაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

მხარში ამოვუდგეთ, ვუქომაგოთ ჩვენს გუნდებს!

(დასასრული)

თავანს არ იქნება და, თუ იმ გუ- ებს, რომლებსაც დღეს 30-30 ლა აქვთ და კიდევ დარჩათ მა- ები ჩასატარებელი, შეუძლიათ თუ ისე გარანტირებულად ჩა- ლონ თავი, სხვებს ნამდვილად ლი ძალების მოხმობა დასჭირ- ბათ. ამ სხვებს შორის, როგორც თ, არის საქართველოს ორი გუ- ეც — თბილისის „დინამო" და თაისის „ტორპედო".

თუ წმინდა სპორტული თვალსა- ისით ვილაპარაკებთ, ბოლო ორი გილის ბედი უკვე ახლავე გადა- ვეტილია. როსტოვის არმიელები ხვდებიან „ფაკელს" და კიდეც მ გაიმარჯვონ, 23 ქულით ისევ -18 ადგილზე რჩებიან.

ეს მატჩი უკანასკნელია ვორონე- ლებისათვისაც, რომელთა მაქსი- მ0 27 ქულა იქნება, ეს კი უმა- ეს ლიგაში დასარჩენად ალბათ კმარა.

თბილისელებსაც და ქუთაისელ- ბსაც 3-3 კალენდარული მატჩი თ ჩასატარებელი. დინამოელები ნოემბერს უმასპინძლებენ ოდე- ს „ჩერნომორეცს", 19 ნოემბერს კიევის „დინამოს" და 23 ნოემ- რს — ხარკოვის „მეტალისტს". თაისის ტორპედოელები ამავე ღეებში შინ ითამაშებენ დნეპრ- ეტროვსკის „დნეპრთან", ხარკოვის „მეტალისტთან" და კიევის „დინამოსთან".

თუ ჩვენი მეტოქეების სატურნირო მდგომარეობას გადავხედავთ, იოლად შევამჩნევთ, რომ თითოეულ მათგანს, ისევე როგორც საქართველოს გუნდებს, აუცილებლად სჭირდებათ ქულები. ამიტომ რაიმე შეღავათზე ლაპარაკიც ზედმეტია: მოგველის ბრძოლა — შეუპოვარი, უშეღავათო, დაძაბული ბრძოლა. თბილისელებმაც და ქუთაისელებმაც უდიდესი თავგამოდებით, არნახული მონდომებით, რაინდულად უნდა ითამაშონ.

თბილისის „დინამომ" უდავოდ თავდაუზოგავად ითამაშა მოსკოვში „ტორპედოსთან". ეს მართლაც უაღრესად დაძაბული მატჩი გამოდგა, რაც მსაჯის არაობიექტურობამაც განაპირობა. არბიტრის საკითხს უახლოეს დღეებში საგანგებოდ განიხილავენ, მაგრამ ჩვენი გუნდიც დაისაჯა — ამჯერად ჩივაძისა და სულაქველიძის გარეშე მოგვიწევს თამაში „ჩერნომორეცთან". ეს, რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისია. მით მეტი პასუხისმგებლობა მართებთ ჩვენს ბიჭებს, თითოეულ მოთამაშეს. გუნდის საგანგებო კრებაზე რეალურად შეაფასეს ახლანდელი სიტუაცია, კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს მთელი შესაძლებლობები ჩააქსოვოს ხვალინდელ და მომავალ თამაშებში, რათა დინამოელთა დღევანდელი თაობა პირმართალი იყოს ქართული ფეხბურთის წინაშე.

„ლელოს" რედაქციაში მრავლად მოდის წერილები, ტელეფონითაც გვირეკავენ. გულშემატკივრები გვთხოვენ მათი გასამხნევებელი სურვილები და მოწოდებანი გადავცეთ ორივე ჩვენს გუნდს. მართალია, ფეხბურთის მოყვარულები არ მალავენ უკმაყოფილებას თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" წლევანდელი ერთობ წარუმატებელი თამაშის გამო, მაგრამ ბევრი მათგანი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ახლა მხოლოდ ერთი გზა დაგვრჩა: უნდა ვიბრძოლოთ ისე, როგორც არასდროს, გავაკეთოთ ცოტა იმაზე მეტიც, რისი ძალაც შეგვწევს და შევინარჩუნოთ ადგილი უძლიერესთა რიგებში.

მიზეზების ძებნისა და გადაბრალება-გადმობრალების დრო ახლა აღარ არის. სასურველი მიზნის მისაღწევად უნდა დავირაზმოთ, შევკავშირდეთ ყველანი — ფეხბურთელებიც, მწვრთნელებიც და მაყურებლებიც.

მაშ ასე, დარჩა სამი კალენდარული მატჩის დღე — 15 ნოემბერი, 19 ნოემბერი და 23 ნოემბერი. ორივე ჩვენს გუნდს სამ-სამი უძნელესი თამაში ელის. ვიმეორებთ — თითოეულმა მათგანმა ყველაფერი უნდა იღონოს მთელი წლის დანაკარგის (ანაზღაურებლად, ჩვენ კი, გულშემატკივრები, ფეხბურთელებს ტრიბუნებიდან მხარდაჭერასა და გამხნევებას არ მოვაკლებთ.

კარგად გვახსოვს, რა ხდებოდა, როცა საბჭოთა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის უაღრესად მნიშვნელოვანი შესარჩევი მატჩი წააგო დანიის ნაკრებთან. ეს 5 ივნისს მოხდა და მას შემდეგ არც საკავშირო ცენტრალურ პრესაში, არც რადიოთი და ტელევიზიით, არც საფეხბურთო წრეების ოფიციალურ სხდომებზე წუთითაც არ შემწყდარა საუბარი იმაზე, რომ ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ესაჭიროება საყოველთაო, ყოველმხრივი მხარდაჭერა, გამხნევება, თანადგომა. საფეხბურთო საზოგადოებრიობამ ეს მოწოდება სწორად გაიგო, ნაკრებს ყოველნაირად მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ, საბჭოთა ფეხბურთელებმა ზედიზედ მოიგეს ბოლო 3 მატჩი და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავიდნენ.

ზუსტად ასევე უნდა მოვიქცეთ თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ქომაგებიც: მჭიდროდ დავირაზმოთ, გავამხნევოთ ფეხბურთელები, დავეხმაროთ მათ ძნელი ამოცანის შესრულებაში.

ეს თითოეული ჩვენგანის საპატიო, მამულიშვილური მოვალეობაა. ყველაფერი სხვა ქართული ფეხბურთის ღალატია!

ფეხბურთის მოყვარულებს საორიენტაციოდ ვთავაზობთ სსრ კავშირის 1985 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დარჩენილი მატჩების კალენდარს.

15 ნოემბერი

„შახტიორი" — „დინამო" მნ., „სპარტაკი" — „მეტალისტი", „ზენიტი" — „დინამო" კ., „ტორპედო" ქ. — „დნეპრი", „დინამო" თბ. — „ჩერნომორეცი".

19 ნოემბერი

„სპარტაკი" — „დინამო" მნ., „ზენიტი" — „ჟალგირისი", „არარატი" — „დინამო" მ., „ნეფთჩი" — „შახტიორი", „დინამო" თბ. — „დინამო" კ., „ტორპედო" ქ. — „მეტალისტი", „დნეპრი" — „ქაირათი", „ჩერნომორეცი" — „ტორპედო" მ., ასკ რ. — „ფაკელი".

23 ნოემბერი

„სპარტაკი" — „ჟალგირისი", „ზენიტი" — „დინამო" მნ., „არარატი" — „შახტიორი", „ნეფთჩი" „დინამო" მ., „დინამო" თბ. — „მეტალისტი", „ტორპედო" ქ. — „დინამო" კ., „დნეპრი" — „ტორპედო" მ., „ჩერნომორეცი" — „ქაირათი".

შეხვედრათა ისტორიიდან

„დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა)

ხვალინდელი მეტოქეები ერთ- ანეთს პირველად ამ ოცი წლის წინათ შეხვდნენ თბილისში, 1965 წლის საფეხბურთო სეზონის გახსნის მატჩში. მინდვრის მასპინძლები ქვეყნის ჩემპიონის რანგში პირველ მატჩს ატარებდნენ ოდესის „ჩერნომორეცთან", რომლისთვისაც ეს იყო პირველი თამაში უმაღლეს ლიგაში. ახალბედა მეტოქემ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია ჩემპიონს. თამაში ცოცხალი, საინტერესო და შედეგიანი გამოვიდა. მეტოქეებმა ხუთი ბურთი გაიტანეს (გაიმარჯვეს დინამოელებმა — 3:2). ეს მაჩვენებელი მხოლოდ ერთხელ გაუმჯობესდა: 1977 წელს, ასევე თბილისში, თბილისისა და ოდესის გუნდების შეხვედრაში 6 გოლი გავიდა (3:3).

მატჩების საშუალო შედეგიანობა მაინცდამაინც მაღალი არ არის — 2,34 ბურთი ერთ შეხვედრაში. სამაგიეროდ არც ოდესაში, არც თბილისში, დღევანდელ მეტოქეთაგან არც ერთი უგოლოდ არ გასულა მინდვრიდან (ერთადერთი ნულოვანი ფრე კიევში აღინიშნა). თბილისელებმა მხოლოდ ოთხ შეხვედრაში ვერ შეძლეს ოდესელთა კარის აღება, „ჩერნომორეცმა" — 14 მატჩში.

ოდესელთა და თბილისის დინამოელთა შეხვედრებში გოლები გატანილი აქვს 23 თბილისელ და 24 ოდესელ ფეხბურთელს. ინდივიდუალური მაჩვენებლებით უპირატესობა დინამოელთა მხარესაა. რ. შენგელიამ „ჩერნომორეცის" კარში გაიტანა 7 ბურთი, დ. ყიფიანმა — 5. ოდესელთაგან 3-3 გოლი აქვთ გატანილი ი. ბელანოვს, ვ. ფინკსა და ვ. სახნოს. ბელანოვმა სამ მატჩში გაიტანა ეს ბურთები, ფინკმა და სახნომ — ერთ შეხვედრაში. ეს მატჩები, რომლებშიც ოდესელებმა „ჰეტ-ტრიკი" გააკეთეს, „ჩერნომორეცმა" მოიგო ერთნაირი ანგარიშით — 4:1. დინამოელებმა ორჯერ მოუგეს ოდესელებს დიდი ანგარიშით — 3:0 და 4:0. ორივე გუნდის მოთამაშეებმა თითო გოლი გაიტანეს საკუთარ კარში. ესენი იყვნენ ვ. პლოსკინა („ჩერნომორეცი") და ქორიძე („დინამო"). ორივე ეს ბურთი თბილისში გავიდა. პლოსკინამაც და ქორიძემაც თავიანთ გუნდებს გამარჯვება დააკარგვინეს. მატჩები დამთავრდა ფრედ — 1:1 და 3:3.

უნდა აღინიშნოს, რომ „ჩერნომორეცმა" თბილისელებთან მოგებული რვა მატჩიდან ოთხში განსაკუთრებული ნებისყოფა და სიმტკიცე გამოიჩინა: თუმცა პირველი გოლი მის კარში გავიდა, შეძლო ძალის მობილიზება და გაიმარჯვა. უნდა გავიხსენოთ კიდევ ერთი მატჩი, რომელიც თბილისში გაიმართა 1977 წელს. შეხვედრის დამთავრებამდე ნახევარი საათი რჩებოდა. „ჩერნომორეცი" აგებდა მატჩს — 0:3. მაგრამ ამ ნახევარ საათში ოდესელებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და შეხვედრა ფრედ დამთავრდა. თბილისელ ფეხბურთელებს უნდა ახსოვდეთ ეს მაგალითი.

პირველ სამ სეზონში თბილისელებმა ვერ შეძლეს „ჩერნომორეცთან" რაიმე უპირატესობის მოპოვება. გუნდებმა ორ-ორი მატჩი მოიგეს და ორ-ორი ფრედ დაამთავრეს. თუ დღეს დინამოელებმა გაიმარჯვეს, გამეორდება იგივე შედეგი ამ უკანასკნელი სამი წლისთვის.

1965-1985	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
მატჩები თბილისში	16	12	4	0	31-10
მატჩები ოდესაში	18	4	6	8	16-25
მატჩი კიევში	1	0	1	0	0-0
სულ	35	16	11	8	47-35

თბილისის „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" მატჩები საკავშირო ჩემპიონატებში

№	თარიღი	ქალაქი	ანგარიში	თბილისელთა გოლები
1	15.4.1965	თბილისი	3:2	ნ. მაისურაძე (2), ვ. ბარქაია
2	7.10. “	ოდესა	1:1	ა. ილიადი
3	8.7.1966	ოდესა	0:1	
4	13.11. “	თბილისი	1:1	ს. მეტრეველი
5	28.5.1967	თბილისი	1:0	გ. ნოდია
6	23.8. “	ოდესა	0:2	
7	7.7.1968	თბილისი	4:0	გ. ნოდია, მ. ხურცილავა, ს. მეტრეველი, მ. მესხი
8	8.11. “	ოდესა	1:1	გ.გავაშელი
9	9.8.1969	თბილისი	2:0	კ. ახათიანი, ს. მეტრეველი.
10	29.9. “	ოდესა	1:1	გ. გავაშელი
11	18.7.1970	თბილისი	2:0	კ. ახათიანი, გ. გავაშელი.
12	9.9. “	კიევი	0:0	
13	13.7.1974	ოდესა	2:2	უ. ქანთარია, კ. ახათიანი
14	17.11. “	თბილისი	2:0	მ. მაჩაიძე, რ. ძოძუაშვილი
15	7.6.1975	თბილისი	1:0	დ. ყიფიანი
16	20.7. “	ოდესა	1:2	დ. ყიფიანი
17	9.5.1976	ოდესა	1:0	დ. ყიფიანი
18	18.8. “	ოდესა	1:2	ვ. დარასელია
19	9.6.1977	თბილისი	3:3	დ. ყიფიანი (2), რ. ჩელებაძე
20	24.9. “	ოდესა	1:2	ვ. გუცაევი
21	28.4.1978	თბილისი	2:1	რ.შენგელია (2)
22	22.7. “	ოდესა	1:0	ვ. დარასელია
23	1.6.1979	ოდესა	1:0	თ. სულაქველიძე
24	31.8 “	თბილისი	3:1	რ. შენგელია (2), ვ. გუცაევი
25	3.5.1980	ოდესა	0:1	
26	21.8. “	თბილისი	1:0	ვ. ჟვანია
27	19.5.1981	ოდესა	1:1	რ. შენგელია
28	26.9. “	თბილისი	1:1	ვ. პლოსკინა („ჩერნომორეცი") საკუთარ კარში
29	29.3.1982	ოდესა	1:0	ვ. ჟვანია
30	19.11. “	თბილისი	1:0	მ. მესხი (უმცროსი)
31	3.5.1983	ოდესა	1:4	რ. შენგელია
32	5.8. “	თბილისი	3:0	ნ. კაკილაშვილი, რ. შენგელია, გ. ცაავა
33	13.4.1984	თბილისი	1:1	ა. ჩივაძე
34	15.10. “	ოდესა	1:4	მ. მესხი (უმცროსი)
35	10.5.1985	ოდესა	1:1	გ. ცაავა
36	15.11. “	თბილისი	?	

„ტორპედო" (ქუთაისი) — „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)

ქუთაისის ტორპედოელებმა „დნეპრის" კარი ხუთჯერ აიღეს და აქედან ოთხი გოლი საკუთარ მინდორზე ნათამაშებ მატჩებში გაიტანეს. სამწუხაროდ, ამ გოლებს მათთვის არც ერთი ქულა არ მოუტანია. სამაგიეროდ დნეპროპეტროვსკში „ტორპედომ" ერთი ბურთი გაიტანა მეტოქის კარში და ორი ქულა წამოიღო იქიდან. წლევანდელ სეზონამდე ავტოქარხნელებს „დნეპრთან" სტუმრად არც ერთი შეხვედრა არ წაუგიათ, შინ კი ფრესაც ვერ მიაღწიეს. და მაინც, ქუთაისში გამართული შეხვედრები სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს დაამახსოვრდათ საინტერესო, შეუპოვარი, შედეგიანი თამაშით. მეტოქეებმა ერთიმეორის კარში 14 გოლი გაიტანეს. აქედან 10 ქუთაისში გამართულ შეხვედრებზე მოდის. განსაკუთრებით დაძაბული იყო მატჩი ქუთაისში 1983 წელს. იმ წელიწადს „დნეპრი" ჩემპიონი გახდა, ტორპედოელებმა კი უმაღლესი ლიგა დატოვეს.

მაგრამ მომავალ ჩემპიონს მაშინ მძიმე ბრძოლა გადახდა. განსაკუთრებით დრამატულად წარიმართა შეხვედრის ბოლო წუთები, უფრო ზუსტად, მატჩის უკანასკნელი წუთი. ანგარიში იყო 2:2. შეხვედრის 89-ე წუთზე ა. პოგორელოვის დარტყმის შემდეგ „დნეპრი" დაწინაურდა — 3:2. მაგრამ ამ გოლს მოჰყვა მასპინძელთა ელვისებური იერიში, რომლის შეჩერებაც მხოლოდ წესის დარღვევით მოხერხდა. დაინიშნა პენალტი, მაგრამ კურტანიძემ ნერვები ვერ დაიმორჩილა და ს. კრაკოვსკიმ შეძლო მისი დარტყმის მოგერიება.

ქუთაისის „ტორპედოსა" და „დნეპრის" შეხვედრაში საშუალო შედეგიანობა ცუდი არ არის — სამ ბურთზე ცოტა ნაკლები ერთ მატჩში (ძირითადად ქუთაისში გამართული მატჩების მიხედვით).

დღევანდელ მეტოქეთა შეხვედრებში გასულია 14 ბურთი. ეს გოლები გაიტანა ათმა ფეხბურთელმა — ოთხმა ავტოქარხნელმა და ექვსმა დნეპროპეტროვსკელმა. მათგან მხოლოდ ორმა შეძლო ერთზე მეტი გოლის გატანა. ესენი არიან „დნეპრის" მოთამაშე ო. ტარანი (4 გოლი) და ქუთაისელი დ. დარჯანია (2).

ამ სეზონში ერთი წლის „შესვენების" შემდეგ დნეპროპეტროვსკისა და ქუთაისის ფეხბურთელები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. უკრაინის გუნდმა ტრადიცია დაარღვია — პირველად მოუგო ქუთაისის „ტორპედოს" თავის მინდორზე. იქნებ ქუთათურებმაც მიჰბაძონ დნეპროპეტროვსკელებს, ტრადიციის ძალას აჯობონ და ბოლოს და ბოლოს დაამარცხონ თავიანთ ქალაქში „დნეპრი"?

1982-1985	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.
მატჩები ქუთაისში	2	0	0	2	4-6
მატჩები დნეპროპეტროვსკში	3	0	2	1	1-3
სულ	5	0	2	3	5-9

ქუთაისის „ტორპედოსა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" მატჩები საკავშირო ჩემპიონატებში

№	თარიღი	ქალაქი	ანგარიში	ქუთაისელთა გოლები
1	6.4.1982	ქუთაისი	2:3	დ. დარჯანია (2)
2	7.8. “	დნეპროპეტ.	1:1	ა. კვერნაძე
3	29.4.1983	დნეპროპეტ.	0:0	
4	2.8. “	ქუთაისი	2:3	გ. ვასაძე, ზ. ჭიაბრიშვილი
5	28.5.1985	დნეპროპეტ.	0:2	
6	15.11. “	ქუთაისი	?	

პუბლიკაციები მოამზადა აქსელ თბილელმა.

48 საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

10 და 11 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის 48-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები, გთავაზობთ მათს სტატისტიკურ მონაცემებს:

„ჟალგირისი"—აზკ რ. 5:1 (1:0). მასპინძელთაგან ბურთები გაიტანეს დანისიავიჩუსმა, პანკრატიევმა, ნარბეკოვასმა-2, ერთი გოლი კი საკუთარ კარში ჩაჭრა როსტოველმა დიკარევმა. სტუმრებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს (ბონდარევი).

„დინამო" (კიევი) — „ნეფთჩი" 2:1 (1:0). დინამოელთა უპირატესობის მიუხედავად პირველი ბურთი სწორედ მათს კარში იქნა გატანილი (ჯავადოვი, 37-ე წუთი). ეს გოლი ბლოხინმა სამიოდე წუთის მერე გაქვითა, შესვენების შემდეგ კი იარემჩუკმა გამარჯვება მოუტანა ლიდერს.

„მეტალისტი" — „არარატი" 2:1 (1:0). ხარკოველების სოკოლოვისა და ტარასოვის 2 ბურთს „არარატმა" მხოლოდ ერთით უპასუხა (მხითარიანი).

გააფრთხილეს „მეტალისტის" ფეხბურთელი მახინია.

„დინამო" (მინსკი) — „ფაკელი" 2:1 (1:0). გამარჯვებულთაგან ორივე ბურთი გოცმანოვმა გაიტანა, ერთით უპასუხა მხითარიანმა.

„შახტიორი" — „სპარტაკი" 1:2 (1:0). დაწინაურდა „შახტიორი" (გრაჩოვი). ეს მოხდა მე-8 წუთზე, შესვენების შემდეგ ე. კუზნეცოვმა საპასუხო ბურთი გაიტანა, შემდეგ კი შავლომ — მეორე.

გააფრთხილეს სპარტაკელი შიბაევი.

„დინამო" (მოსკოვი) — „ზენიტი" 2:3 (1:3). ლენინგრადელებმა უკვე მეორე წუთზე გახსნეს ანგარიში (ქელუდკოვი), ეს გოლი სულ მალე გაქვითა პოზდნიაკოვმა, შემდგომში მელნიკოვმა და დოლგოპოლოვმა კვლავ დააწინაურეს „ზენიტი" და დინამოელმა ბულანოვმა მხოლოდ მატჩის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე შეძლო სხვაობის შემცირება.

⊙ **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის კვლავ მიუწვდომელია დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" თავდამსხმელი ო. პროტასოვი, რომელმაც 28 ბურთი გაიტანა. 13 გოლია მისი თანაკლუბელის ო. ტარანის ანგარიშზე, შემდეგ მოდიან კიეველი ო. ბლოხინი, სპარტაკელი ს. როდიონოვი და ვილნიუსელი ს. იაკუბაუსკასი — 12-12.

⊙ **მოსკოვის** „ტორპედოსთან" მატჩში გაფრთხილება მიიღო თბილისის დინამოელმა ა. ჩივაძემ. ა. ჩივაძესა და თ. სულაქველიძეს სადღეისოდ ორ-ორი გაფრთხილება აქვთ.

* * *

გადასასვლელი მატჩი

გუშინ თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე გაიმართა გადასასვლელი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ რესპუბლიკის ჩემპიონი — წყალტუბოს „შადრევანი-83" და თბილისის „ლოკომოტივი", რომელმაც II ლიგის ოსტატთა წლევანდელ საკავშირო გათამაშებაში (IX ზონა) საქართველოს გუნდებს შორის ბოლო, მეშვიდე ადგილი დაიკავა. დებულების შესაბამისად გამარჯვებული გუნდი გაისად II ლიგაში თამაშის უფლებას იღებდა.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ლოკომოტიველებმა მოიპოვეს, ერთადერთი ბურთი მატჩის მეორე ნახევარში გაიტანა ელოევმა — 1:0.

მეტოქეთა შემადგენლობანი: **„ლოკომოტივი"** — ჭანტურია, ფირცხალავა, ელოევი, ცომაია, კაბისაშვილი, ნუცუბიძე, ტ. ჭკაპანაძე, კომახიძე (ბაწაშვილი), ა. კაპანაძე, კოლიაშვილი, თეთრაული (ჭინჭარაული); **„შადრევანი-83"**— ჯანელიძე, გვაძაბია, ფესტვენიძე, (თევზაძე), გოგოლაძე, ტეხოვი, წიქარიშვილი, სვანაძე, წიქორიძე, კერესელიძე, ონიანი, ხარაბაძე.

ლოკომოტიველთა გუნდის ხელმძღვანელობა: უფროსი მწვრთნელი თ. ცერცვაძე, მწვრთნელი ი. რუხაძე, გუნდის უფროსი ნ. ხიზანიშვილი. გადასასვლელი მატჩი იმსაჯა ბრიგადამ სოხუმელი არბიტრის გ. გაბესკირიას ხელმძღვანელობით.

ამრიგად, თბილისის „ლოკომოტივმა" საგაისოდ შეინარჩუნა II ლიგაში თამაშის უფლება.

* * *

ავლანჟის ვიზიტი სოფიაში

ამ დღეებში ბულგარეთში სტუმრად იმყოფებოდნენ ფიფა-ს პრეზიდენტი ჟოაო ავლანჟი და ფიფა-ს გენერალური მდივანი იოზეფ ბლატერი. სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის" კორესპონდენტი ესაუბრა მათ.

ავლანჟმა განაცხადა, რომ ფიფა მთელ მსოფლიოში ფეხბურთის განვითარების ფართო და ამბიციურ პროგრამას ანხორციელებს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ქვეყნებსა და კონტინენტებს, სადაც ფეხბურთი აქამდე არ ყოფილა მაინცდამაინც პოპულარული — აფრიკას, აზიას, ოკეანიას. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, განსაკუთრებით აფრიკაში. ნიგერიის ახალგაზრდა ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. 1989 წელს ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი სწორედ ამ ქვეყანაში ჩატარდება. ფიფა-ს სხვა ღონისძიებათა ჩატარებაც აქვს დაგეგმილი.

კითხვაზე, ამ ღონისძიებათა დაგეგმვა და გამართვა ძალზე დიდ დროს ხომ არ გართმევთო, პრეზიდენტმა უპასუხა:

— დიახ, წელიწადში 300 დღეს მოგზაურობაში ვატარებ. დატვირთული ვიქნები მომავალ წელსაც. აპრილში კიდევ ერთხელ ვეწვევი ბულგარეთს, ამჯერად ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის არსებობის 75 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით. საიუბილეოდ აქ მოეწყობა ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირი (23 წლის ასაკამდე). დასვენებას მხოლოდ მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ვაპირებ.

კითხვაზე, ნამდვილად ჩატარდება თუ არა მსოფლიოს ჩემპიონატი მექსიკაში, პრეზიდენტმა უპასუხა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ამ საკითხზე ფიფა-ს აღმასკომმა 13 დეკემბერს უნდა მიიღოს. რაც შეეხება პირადად ავლანჟს, იგი ვერ ხედავს რაიმე სერიოზულ მიზეზს საიმისოდ, რომ ჩემპიონატი სხვა ქვეყანაში გადაიტანონ. 15 დეკემბერს ამ შეჯიბრებაში მონაწილე 24 გუნდის დასანაწილებლად წილისყრა მოეწყობა.

ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა ბლატერმა თქვა, რომ წილისყრამ გუნდები ისე უნდა გაანაწილოს, რომ ექვსი უძლიერესი განითესოს. უძლიერეს ექვსეულში ფიფა-მ შეიყვანა იტალიის (როგორც მსოფლიო ჩემპიონი), მასპინძელთა, მექსიკის, გფრ-ისა და პოლონეთის ნაკრები (წინა ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორი), ფრანგები, როგორც ევროპის ჩემპიონები. თუ ფრანგები ფინალში ვერ მოხვდებიან, უძლიერესთა ექვსეულში აღმოჩნდებიან ესპანელი, ინგლისელი, ან საბჭოთა ფეხბურთელები. კიდევ ერთი ადგილი უძლიერესთა ექვსეულში ფიფა-მ ბრაზილიის ნაკრებს მიაკუთვნა.

ფეხბურთი მწერლის დღიურში

შარშან ჟურნალმა „მნათობმა" მე-9 და მე-10 ნომრებში გამოაქვეყნა ცნობილი ქართველი მწერლის აკაკი ბელიაშვილის მოგონებანი სათაურით „სხვადასხვა დროის ჩანაწერები". ბევრ სხვა საყურადღებო მასალასთან ერთად აქ წარმოდგენილია საინტერესო ცნობები 50-იანი წლების ქართული ფეხბურთის შესახებ. „ლელოს" მკითხველებს — ქართული ფეხბურთის ქომაგებს — ვთავაზობთ ნაწყვეტებს ამ მოგონებებიდან.

1950 წლის 16 მაისი,
მოსკოვი.

გუშინ დავესწარი ჩვენი „დინამოსა" და მოსკოვის „ვვს"-ის თამაშს. ჩვენებმა ბრწყინვალედ მოიგეს. მშვენივრად თამაშობდა ბორის პაიჭაძე. საოცარია, მთელი ხალხის სიმპათია ჩვენი მოთამაშეების მხარეზე იყო და როდესაც ბორია ბურთს წაიღებდა, აქეზებდნენ „ლუპი ბორია".

1950 წლის 18 მაისი,
მოსკოვი.

... ხვალ ჩვენი „სპარტაკი" ეთამაშება „ვვს"-ს. უნდა წავიდე. ვნახე გიგა. ბიჭო, რა მოგივიდათ, სულ რომ აგებთ-მეთქი. აბა, აბა, დარდით აღარა ვართ და ანდრო ჟორდანია პირდაპირ თავს იკლავსო. ვნახოთ, ხვალ რას იზამენ ჩვენები?

1950 წლის 21 მაისი,
მოსკოვი.

გუშინ საღამოს დავესწარი ჩვენი „სპარტაკის" თამაშს „სტალინეცის" სტადიონზე, რომელიც სადღაც დასაკარგავში ყოფილა. უნდა წავიდე მეტროთი ბოლო სადგურამდე სოკოლნიკის მიმართულებით. მერე ტრამვაით ოც წუთზე მეტი იმგზავრო ძველებურ მოსკოვში (აქ სულ ხის სახლებია, ერთსართულიანი, ზოგი ძალზე ლამაზი, მოხარატებული ფანჯრებით და ხის მამლებით, ზოგი გვერდზე მოღრეცილი, დაბერებული და დაბეჩავებული). შემდეგ კიდევ ერთი თხუთმეტი წუთი უნდა იარო ფეხით და მიხვალ ამ ქვეყნის განაპირა სტადიონზე. იგი არცთუ პატარაა (მგონი, თხუთმეტი ათასი ადგილი), მაგრამ ხალხი ძალიან ცოტა იყო, უმეტესობა ქართველები იყვნენ. აქ ვნახე გურამ ასათიანი. კარგადაა, მითხრა, გამოცდები დამეწყო და ერთი საგანი უკვე ჩავაბარეო, შემპირდა, გინახულებო. ორივე გუნდი ერთნაირად მოლასლასებულად თამაშობდა. იმათ შემთხვევით გაიტანეს ერთი ბურთი. ამის შემდეგ ჩვენი „სპარტაკი" კიდევ უფრო წახდა. ეს იყო და ეს.

ხვალ ჩვენი „დინამო" ეთამაშება მოსკოვის „სპარტაკს". ისეთი ამბავია, რომ ვერ წარმოიდგენ. ეს გუნდი მოსკოველებს გაგიჟებით უყვართ. ამავე დროს იციან, რომ ჩვენს „დინამოსთან" თამაში სახიფათოა. ასე რომ, ეს აჟიოტაჟი გასაგებია. ძლივს ვიშოვე აღმოსავლეთის ტრიბუნაზე ბილეთი. მაგრამ რას დავეძებ. მთავარია, სტადიონზე მოვხვდები.

1950 წლის 23 მაისი,
მოსკოვი.

გუშინ, ცხადია, ვიყავი „დინამოს" სტადიონზე და ვუცქირე ჩვენების თამაშს „სპარტაკთან". სტადიონი გაჭედილი იყო. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. უნდა გენახათ მაყურებელთა განცდები... მერე „დინამომ" ისე ააწყო თამაში, რომ არათუ მოთამაშეებს, მაყურებლებსაც კი მუხლები აუკანკალეს. მალე ჩვენებმა საპასუხო ბურთი გაიტანეს. მართალია, ორე ბურთი ველარ გაიტანეს მატჩი ფრედ დამთავრდა. ასე წყობილად და გულიანად და ბული თამაში კარგა ხანია არ ნახავს.

უბის წიგნაკიდან

..ქართველი ფეხბურთელები დამ გამოირჩეოდნენ თავიანთი უდარებელი ლამაზი თამაშით. გრამ ფეხბურთის მოედანზე მაში ლამაზი და მომხიბ მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ვაზიანი და კორექტულია. მახსო როდესაც მოსკოვის „დინამ სტადიონზე წინა რიგებში ერ ხანში შესულმა მაყურებელმა მოიძახა „ოჰო, ეს მგონი, პაი დააჯარიმესო", ფეხზე წამო ერთი ქერათმიანი ქოჩორა მოს ველი ახალგაზრდა და ხანში შე ძიას გულმოსულმა მიაძახა: „ ისტორიას არ ახსოვს, რომ პაი ძე დაეჯარიმებინოთო".

რომ იცოდეთ, როგორი სიამ გრძნობით აღმავსო ამ ახალგაზრ ის სიტყვებმა.

მე მახსოვს კიდევ ერთი შემ ვევა, მოსკოვში ვესწრებოდი სა ნალო შეხვედრას საკავშირო თა ჩვენი „დინამო" ეთამაშებოდა მ სკოვის „სპარტაკს". თოვდა. მ ედანზეც თოვლი იდო. თამა ერთ-ერთ მომენტში პაიჭაძემ მოედნიდან მოულოდნელად გა ცა ბურთი მოწინააღმდეგის ც ელ ნახევარზე. მთელ სტადიონ გმინვა აღმოხდა. ყველანი ფეხზე მოიჭრნენ და სპარტაკელებს წარებით გასძახოდნენ, დაეწ თორემ დავიღუპეთო. მართლაც, ამაღელვებელი სანახაობა იყო!

დაე. 1958 წლის საფეხბურ სეზონში ისევ აღორძინდეს პაი ძის დროინდელი სახელოვანი ტ დიციები.

თბილისის მოსწავლეთა პირველობა წყალბურთში

სათანადო პირობები რომ ჰქონდეთ

თბილისში, საირმის ქუჩის საცურაო აუზში დამთავრდა ქალაქის მოსწავლეთა (1969-70 წ.წ. დაბადებულნი) პირველობა წყალბურთში. შეჯიბრებაში მხოლოდ „დინამოს" ორი და განათლების სამმართველოს ოთხი გუნდი მონაწილეობდა. მარტო ეს ფაქტი კარგზე არაფერზე მეტყველებს, მაგრამ ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო. დიახ, დინამოელებსა და განათლების სამმართველოს წარმომადგენლებს საშუალება მიეცათ თითო გუნდი კი არა, მთელი რეზერვი გამოეცადათ. ყველას „დინამოს" პირველმა გუნდმა აჯობა. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ თემურ ლორთქიფანიძის, ვალიკო ბიბილურისა და ბორის მარგოევის აღსაზრდელები: მიხეილ ჭარბაძე, ნოდარ ჩოლარია, ზაზა მასხულია, ნოე კინწურაშვილი, მიხეილ ხარებოვი, რევაზ ბიძინაშვილი, ზვიად დაგითიანი, ირაკლი ტატიშვილი, ზვიად ნეფარიძე, გიორგი ოდიშვილი, ირაკლი მამავა, გიორგი დადიანი, პაატა ცერცვაძე, ლევან მაჭავარიანი და დავით გურეშიძე.

მათ შემთხვევით არ მიუღწევიათ წარმატებისთვის — დინამოელები მესამე წელია, რაც სპორტსკოლაში მეცადინეობენ, რასაც არ შეიძლება უნაყოფოდ ჩაევლო. აკი გაიმარჯვეს კიდეც 1967 და 1969 წელს დაბადებულ წყალბურთელთა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობებში, 1968 წელს დაბადებულმა წყალბურთელებმა კი „ნორჩი დინამოელის" საკავშირო პირველობაში II ადგილი მოიპოვეს. დინამოელები ხარჩილაძე, მასხულია, ხარებოვი და ჩოლარია საკავშირო ნაკრების კანდიდატებიც არიან. მასხულია რუმინეთში გამართულ „დრუჟბის" შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა.

დინამოელებს სათანადო პირობები რომ ჰქონდეთ, ალბათ ბევრად უკეთესად იასპარეზებდნენ, რაკი თავიანთი 25-მეტრიანი საცურაო აუზი არაფერში არგიათ და იძულებულნი არიან იჯარით აიღონ 50-მეტრიანი აუზი. ერთ გუნდს ვაკეში, საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზში მხოლოდ 45 წუთით უთმობენ სარბიელს, დანარჩენები კი სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „ელვას" ბაზაზე ვარჯიშობენ.

საქალაქო შეჯიბრებაში მეორე იყო განათლების სამმართველოს I გუნდი, ხოლო მესამე — II გუნდი.

ავთანდილ ჟუჟუნაძე.

ინფორმაცია

მინსკი. აქ და ლიტვ ქა პანევეჟისში გრძელდება უმაღ ლიგის კალათბურთელ ქალთა კავშირო ჩემპიონატის მატჩ ორი შეხვედრა აბსოლუტურად თნაირი შედეგით დამთავრ ცსკა-მ ვოლგოგრადის „დინამ 91:71 (45:44) დაამარცხა. ა ათის „უნივერსიტეტმა" კი თივე ანგარიშით 91:71 (46:40) ნინგრადის „სპარტაკი". გთავაზო პანევეჟისში გამართულ შეხვედ თა შედეგებს: ტტტ (რიგა) „სპარტაკი" (მოსკოვის ოლ 75:62 (34:31), „დინამო" (ნოვო ბირსკი) — „ადის" (აბოვი 80:75 (40:34), „კიბირკშტისი" (ლნიუსი) — „ურალმაში" (სვერ ლოვსკი)- 75:69 (37:34).

ტოკიო. ფრენბურთელ ქა მსოფლიო თასის გათამაშების ორ ტურში საბჭოთა კავშირის კრებმა პერუს გუნდი დაამარ — 3:0 (15:12, 15:5, 15:6). აქ რმატებით გამოდიან ჩინეთის ფ ნბურთელებიც. მათ ამჯერად ხრეთ კორეის გუნდს სძლიეს 3:0.

დელი. ბალახის ჰოკეისტ ქა საერთაშორისო ტურნირში, რო ლიც ი. განდის ხსოვნას ეძღვ საბჭოთა სპორტსმენებმა სასტა შეხვედრა ჩინეთის გუნდს მო — 5:2 (4:0). ამ მატჩში თავი მოიჩინა ნათელა კრასნიკოვამ, მელმაც სამი გოლი გაიტანა. შეხვედრები ასე დამთავრდა: ოეთი — იაპონია — 8:0, ზიმბ — გფრ — 1:1.

ჰელსინკში დაიწყო ჩოგ თელთა საერთაშორისო ტურნ რომელშიც წარმატებით სტარტი საბჭოთა კავშირის ა მა ჩემპიონმა ანდრეი ჩესნოკ პირველი მატჩი მან იუგოსლ ის ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგ თელს გორან პრპიჩს მოუგო 6:1, 6:7, 6:4.

რედაქტორის მოადგ
თ. გაჩეჩილ

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო"

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე" — 93-97-27, „მერანი" — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66436

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ო დენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფ ტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 063